



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### გომიაშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე



ა. გომიაშვილი

გომიაშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (15. VII. 1911, ახლანდ. დაბა სტეფანწმინდა, - 13. III. 1997, თბილისი), პოეტი. დაამთავრა თსუ (1933). 1938-40 იყო ჟურნ. „მნათობის“ პოეზიის განყ-ბის გამგე, 1946-50 - საქართვე. მწერალთა კავშირის გამგეობის პ/ მგ მდივანი, 1951-64 - საქართვე. ლიტფონდის დირექტორი, 1967-იდან - გამომც. „ცოდნის“ დირექტორი, 1971-87 - წიგნის პალატის დირექტორი. მისი პირველი ლექსი „მთის ბალადა“ ჟურნ. „ქართულ მწერლობაში“ გამოქვეყნდა 1929, პირველი პოეტური კრებ. „ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა“ - 1931. ომის თემამზე დაწერილი აქვს ლექსები: „ქართველო, ხელი ხმაღს იკარ!“ (1943), „დასაწყისი განთიადისა“ (1946), „მშვიდობის ჯარისკაცი“ (1950) და სხვ. პატრ. მოტივს ეძღვნება მისი არაერთი ლექსი და პოემა: „დავითიანი დაღესტანში“ (1953), „ხევის პატარძალი“ (1955), „ადგილის დედა“ (1956), „ამბავი სამასი არაგველისა“ (1958) და სხვ. გ-ის პოეტურ კრებულთაგან აღსანიშნავია „ანდებიტის სიმღერა“ (1932), „ლექსები“ (1933, 1937, 1978), „დარიალი“ (1940), „ბალადები“ (1946, 1958), „ლექსები და ბალადები“ (1960), „ძვლები და კლდეები“ (1964), „ფიცი“ (1976) და სხვ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1972; რჩეული, თბ., 1969 (გამოც. მე-2, 1983).

ლიტ.: კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე გ., ალექსანდრე გომიაშვილის ბალადები, «მნათობი », 1958, №11; ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი გ., ალექსანდრე გომიაშვილის პოეზია, წგ.: თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1976.

---